

საინფორმაციო ჟურნალი

15

ივნისი, 2016

სოციალური მეწარმეობა საქართველოში

სოციალური მეწარმეობა - ინოვაციური მიდგომა ეკონომიკური და სოციალური ცვლილებებისათვის 2016 - 2018.....1

სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად - 20162

გაიცანით

სოციალური კაფე „კამარა“5

პერსპექტივა6

სოციალური მეწარმეობის საერთაშორისო ამბები

სოციალური საწარმოების საერთაშორისო კონკურსი 2016.....6

სოციალური მეწარმეობა - ინოვაციური მიდგომა ეკონომიკური და სოციალური ცვლილებებისათვის 2016 – 2018

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG), ქუთაისის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრისა (KEDEC) და არბარიტერ სამარიტერ ბუნდის (ASB) ერთობლივი ძალისხმევითა და ევროკავშირის დაფინანსებით დაიწყო პროექტი „სოციალური მეწარმეობა - ინოვაციური მიდგომა ეკონომიკური და სოციალური ცვლილებებისათვის“.

პროექტის მიზანია, სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობით უზრუნველყოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების გაზრდა, რათა მათ უკეთ შეძლონ სოციალური და გარემოსდაცვითი მიზნების მიღწევა და მოწყვლადი ჯგუფების ეკონომიკური გაძლიერება.



სამ-წლიანი პროექტი მიზნად ისახავს როგორც არსებული სოციალური საწარმოების გაძლიერებას, ისე ახალი სოციალური საწარმოების დაფუძნების ხელშეწყობას და სოციალურ მეწარმეებს შორის კავშირების გამყარება-განვითარებას.

ამ ამოცანების მისაღწევად დაგეგმილია სხვადასხვა სახის აქტივობები და ღონისძიებები, მათ შორისაა საგრანტო კომპონენტი; საკონსულტაციო მომსახურება მოქმედი სოციალური საწარმოებისთვის; სტუდენტური კონკურსი „სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად“; ყოველწლიური გამოფენები; ყოველწლიური სოციალურ მეწარმეთა ფორუმი; დაფუძნდება „ქართულ სოციალურ საწარმოთა ალიანსი“ და მომზადდება/გაუმჯობესდება საკანონმდებლო ბაზა სოციალურ მეწარმეობასთან დაკავშირებით.

საგრანტო კონკურსი მიზანად ისახავს საქართველოში სხვადასხვა სოციალური მისიის მქონე წარმატებული სოციალური საწარმოების დაფუძნებას და ამ გზით სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობას.

სოციალური მისიის მქონე, ინოვაციური ბიზნეს იდეის ავტორებს საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ 2 ეტაპიან კონკურსში, რათა საკუთარი იდეა აქციონ რეალობად.

კონკურსი „იდეების აქსელერატორი“ - სოციალური საწარმოს დაფუძნების მსურველთათვის ყოველწლიურად გამოცხადდება სამი წლის განმავლობაში, მათ შორის, 2016 წლის 16 ივნისს დასრულდა ამ პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული პირველ საგრანტო კონკურსში განაცხადების შემოტანის პროცესი.



ყოველწლიურად შეირჩევა 16 საუკეთესო იდეის ავტორი ჯგუფი მთლიანად საქართველოს მასშტაბით.

შერჩეული მონაწილეები გაივლიან „სოციალური მეწარმეობის განვითარების ლაბორატორიის“ სპეციალურად მათთვის შემუშავებულ, ინტენსიური ტრენინგების კურსს, რომელიც დაეხმარება მათ შეიძინონ სოციალური საწარმოს ინიცირებისა და მართვისთვის საჭირო ცოდნა და უნარები.


ტრენინგების შემდგომ, მონაწილეები, ექსპერტების დახმარებით, საკუთარ იდეაზე შეადგენენ სოციალური საწარმოს ბიზნეს გეგმას.

საგრანტო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე ყოველწლიურად დაფინანსდება 4-5 სოციალური საწარმოს საუკეთესო ბიზნეს გეგმა. პროგრამა მოიცავს დაფინანსებული სოციალური საწარმოების ექსპერტულ მხარდაჭერას 1 წლის განმავლობაში, ხოლო მონაწილეებს, რომელთა ბიზნეს გეგმაც ვერ გაიმარჯვებს კონკურსში, პროექტის ექსპერტთა გუნდი დაეხმარება მოიძიონ დაფინანსების ალტერნატიული წყაროები.

კონკურსი „სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად - 2016“

ყოველწლიური კონკურსი „სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად“ 2016 წელსაც წარმატებით გაიმართა. კონკურსის მიზანი ახალგაზრდებში სოციალური მეწარმეობის კონცეფციის განვითარება და ცნების პოპულარიზაციაა. დაინტერესებულ ახალგაზრდებს შესაძლებლობა მიეცათ, ახლოს გაცნობოდნენ სოციალურ საწარმოებს და მოესინჯათ საკუთარი ძალები ამ სფეროში.

2016 წელს, სტუდენტური კონკურსის ფორმატი შეიცვალა - ყველა უნივერსიტეტის ნებისმიერი ფაკულტეტისა და კურსის 12-12-მა სტუდენტურმა გუნდმა აქტიურად იმუშავა როგორც არსებული სოციალური საწარმოების გაძლიერებაზე, ისე ახალი სოციალური საწარმოების დაარსების იდეაზე.



კონკურსი 2 ნომინაციაში გაიმართა:

I ნომინაცია, არსებული სოციალური საწარმოებისთვის ბიზნეს პროექტის შემუშავებას და განხორციელებას, ხოლო II ნომინაცია, ახალი სოციალური საწარმოს ბიზნეს-გეგმის შექმნას გულისხმობდა.

სემინარები სოციალურ მეწარმეობაზე



23 – 24 და 29 თებერვალს გაიმართა სემინარები და საინფორმაციო შეხვედრები სოციალური მეწარმეობის თემაზე. შეხვედრაზე სტუდენტებს საშუალება მიეცათ ღრმად გაეცნობოდნენ სოციალური მეწარმეობის კონცეფციის არსსა და კონკურსის განახლებულ ფორმატს. შეხვედრები ინტერაქტიურ ხასიათს ატარებდა. თითოეულ სემინარს 60 სტუდენტი დაესწრო, საერთო ჯამში

კი სემინარებს 180 სტუდენტი დაესწრო.

გაცნობითი ტურები (ბას-ტურები)

სტუდენტური კონკურსი მონაწილე გუნდის წევრების შეხვედრებსა და უშუალო ურთიერთობას გულისხმობს ქართველ სოციალურ მეწარმეებთან.

25; 29 მარტსა და 1; 6 აპრილს გაიმართა გაცნობითი ხასიათის შეხვედრები სტუდენტებსა და ქართველ სოციალურ მეწარმეებს შორის. ბას-ტურების მიზანი სტუდენტებისათვის

სოციალური მეწარმეობის სამუშაო პროცესის ნახვა იყო, სტუდენტებმა უშუალოდ ნახეს, თუ რა სირთულეებს აწყდებიან სოციალური მეწარმეები პრაქტიკული საქმიანობისას. ზას-ტურებზე სტუდენტურმა გუნდებმა მიიღეს დავალებები.

ნახევარფინალი

27 აპრილს გაიმართა კონურსის ნახევარფინალური ეტაპი, თითოეულ ნომინაციაში 12-12 გუნდი იღებდა მონაწილეობას, რომელთაგანაც, ნახევარფინალურ ეტაპზე შეირჩა საუკეთესო 4-4 გუნდი.

პირველ ნომინაციაში, ნახევარფინალურ ეტაპზე გადასულ თითოეულ გუნდს გადაეცა 1500 ლარი, რათა თეორიულად დაწერილი პროექტები პრაქტიკაში



განხორციელებინათ და ამით მოეგვარებინათ სოციალური საწარმოების პრობლემები. მეორე ნომინაციაში ფინალურ ეტაპზე გადასულმა 4 გუნდმა კი თავიანთი ბიზნეს იდეის კონცეფციები სრულყოფილ ბიზნეს-გეგმებად ჩამოაყალიბეს.

ფინალი



8 ივნისს გაიმართა სტუდენტური კონკურსის ფინალი. 4-4 გუნდმა (თითოეული ნომინაციიდან) წარმოადგინა მათ მიერ გაწეული სამუშაოების პრეზენტაცია. მათგან, პირველ ნომინაციაში გაიმარჯვა გუნდმა "თქვენი ონლაინ რეპეტიტორი", 1 თვის განმავლობაში გუნდის მიერ განხორციელებული აქტივობების შედეგად სოციალური საწარმო "იკორთას" გაყიდვები გაორმაგდა. ასევე, იკორთას პროდუქცია ექსპორტზე გაიტანეს

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთში.

რაც შეეხება მეორე ნომინაციაში გამარჯვებულ გუნდს „Hand 4 Help“, გუნდის იდეა მდგომარეობს პროთეზების მწარმოებელი სოციალური საწარმოს შექმნაში.

10 ივნისს გაიმართა დაჯილდოვების ცერემონია და კონკურსის მონაწილე გუნდებისთვის ცნობილი გახდა გამარჯვებულთა ვინაობა, I ნომინაციაში გამარჯვებული გუნდის

თითოეულ წევრს, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი დაუფინანსებს სოციალურ მეწარმეობასთან დაკავშირებულ საერთაშორისო შეხვედრაზე (კონფერენცია, ფორუმი, ა.შ) ვიზიტს, მე-2 ნომინაციაში გამარჯვებულ გუნდს კი, სოციალური საწარმოს ბიზნეს გეგმის ჩამოყალიბების შემდგომ, ევროპის ფონდი გადასცემს 20 000 ლარიან გრანტს სოციალური საწარმოს დასაფუძნებლად.



როგორც უკვე ითქვა, კონკურსი ყოველწიურად ტარდება და მისი ჩატარება 2017 წელსაც იგეგმება.

გ ა ი ც ა ნ ი თ

სოციალური საწარმო „კამარა“

სოციალური კაფე „კამარა“ 2015 წელს დაარსდა ფსიქორეაბილიტაციის ცენტრ „კამარას“ მიერ მიგრადიის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერით.

სოციალური საწარმოს მიზანია ყოფილ წამალდამოკიდებულ პირთა დასაქმება და რესოციალიზაცია საზოგადოებაში, ასევე, ამ პრობლემის შესახებ საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება.

კამარა აწარმოებს ცომეულს, საქონელს, პასტასა და დესერტებს. კაფეში ყოველკვირეულად ეწყობა კინოჩვენებები, მუსიკალური საღამოები, გამოფენები და პრეზენტაციები.



კამარაში ორწლიანი პროექტის ფარგლებში, პროფესიონალებთან ერთად დასაქმებულია 12 ბენეფიციარი (როტაციის პრინციპით).

სოციალური საწარმო სამღებროს 21 ნომერში მდებარეობს (აბანოთუბანი).

სოციალური საწარმო „პერსპექტივა“

სოციალური საწარმო „პერსპექტივა“ დაფუძნდა 2015 წელს სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) ფინანსური მხარდაჭერით.

სოციალური საწარმოს მიზანია მიგრანტი და პოტენციური მიგრანტი ყოფილი ნარკომომხმარებელ პირობით მსჯავრდებულთა დასაქმება, რეაბილიტაცია, რესოციალიზაცია, მათი შესაძლებლობების ზრდა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.



სოციალური საწარმო ომარ ხიზანიშვილის 260 ნომერში მდებარეობს, სადაც ნატურალური ხისგან მზადდება უმაღლესი ხარისხის და უსაფრთხო საღებავებით დამუშავებული ბავშვის სათამაშოები, ხის სუვენირები, მცირე ზომის ავეჯი და ხის სხვადასხვა ნაკეთობები.

სოციალურ საწაროში დასაქმებულები არიან პრობაციის ეროვნულ სააგენტოში აღრიცხვაზე მყოფი პირობით მსჯავრდებულები.

სოციალური მეწარმეობის საერთაშორისო ამბები

სოციალური საწარმო „პერსპექტივა“ სოციალური საწარმოების საერთაშორისო კონკურსი 2016

სოციალური საწარმოების საერთაშორისო კონკურსი 1999 წლიდან ტარდება და მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს სოციალური მეწარმეობის ცნების დამკვიდრებასა და განვითარებას მსოფლიოს 50-ზე მეტ ქვეყანაში. საქმიანობის 15 წლიანი გამოცდილების პერიოდში 5000-ზე მეტ გუნდს მიეცა შესაძლებლობა თავიანთი იდეა გამოეტანა საერთაშორისო

ასპარეზზე. პროექტს ჰყავს 13 პარტნიორი უნივერსიტეტი ამერიკაში, ევროპაში, აზიასა და აფრიკაში.



უკვე დასრულდა 2016 წლის კონკურსის ეტაპები, მათ შორის, გაიმართა რეგიონული კონკურსი. რეგიონულმა ჟიურიმ პროექტის ორ ეტაპზე განიხილა აპლიკაციები, რათა გამოეყვლინათ რეგიონიდან 2 საუკეთესო გუნდი.

კონკურსის ფინალი 1-2 აპრილს გაიმართა ბანგკოკში (ტაილანდი). პირველ ადგილზე გასულ გუნდს გადაეცა 25 000 დოლარი, მეორე ადგილზე გასულ გუნდს 15 000 დოლარი, ხოლო მესამე ადგილზე გასულ გუნდს - 7 500 დოლარი. კონკურსში 500 ზე მეტი საპროექტო განაცხადი შევიდა მსოფლიოს 50 ქვეყნიდან.

2016 წლის შემოდგომაში გამოცხადდება 2017 წლის კონკურსის აპლიკაციების მიღების ეტაპი, ქართველ სოციალურ მეწარმეებს, გამარჯვებული გუნდების საქმიანობისა და ინტერესების გათვალისწინებით, შეუძლიათ ჩაერთონ პროექტში და მოიპოვონ წარმატება.

თუ აღარ გსურთ მიიღოთ სოციალური მეწარმეობის საინფორმაციო ჟურნალის შემდეგი გამოცემები, გამოაგზავნეთ ტექსტი - „გამოწერის გაუქმება“ ელექტრონულ მისამართზე: Social.enterprise.ge@gmail.com

© ყველა საავტორო უფლება დაცულია და ეკუთვნის „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრს“.
